საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

2023 წელი

22.10.2024
www.geostat.ge

22.10.2024

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2023 წელი)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2023 წლის ბოლოსათვის 142.4 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 4.1 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2023 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 29.5 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2022-2023 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2022		2023	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	**28 115.2**	**100.0**	**29 548.5**	**100.0**
აქედან:				
ნაღდი ფული და დეპოზიტები	6 783.8	24.1	8 826.1	29.9
აქედან:				
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	723.3	2.6	579.4	2.0
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	29.6	0.1	28.5	0.1
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	6 201.4	22.1	6 564.5	22.2

2023 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 6.6 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 44.8.

2023 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 72.3 მილიარდ ლარს გაუტოლდა, საიდანაც მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 19.9 მილიარდ ლარს.

2023 წლის ბოლოსათვის არსებული მთლიანი ვალდებულებებიდან 15.8 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით, ხოლო არარეზიდენტების მიმართ არსებული ვალი (საგარეო ვალი) 9.9 მილიარდ ლარს შეადგენს.

კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2023 წლის ბოლოსათვის 70.1 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2022-2023 წლებში



[1] კონვერტირებული ლარში (2023 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).

22.10.2024

არაფინანსური კორპორაციების მიერ 2023 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 2.7 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი შემოსავლები - 18.5 მილიარდ ლარს, რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

არაფინანსური კოორპორაციების შემოსავლების სტრუქტურა 2022-2023 წლებში



2023 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 13.4 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან, ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით 1.8 მილიარდი ლარია. ვალის მომსახურება ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით 114.4 მილიონ ლარს, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით 820.5 მილიონ ლარს შეადგენს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601). E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge